იქნა რესპუბლიკური გამოყვინის ექსპოზიციის, რომელიც მიეძღვნა  
რუსულად უკრაინის შედრების 300 წლისთავს.

სამაგის გრძნობით ინახულეს საბჭოთა მატერებლმა ახალგაზ-  
რდა მხატვართა ეს მორაგე გამოყვინა. მან ნათლად დაგვანახა, რომ  
საბჭოთა უმაღლეს სამხატვრო სასწავლებლებში სწორად არის დაყე-  
ნებული მხატვრული განათლების საქმე. ბოლო მიღონ რეალურ ფორმა-  
ლისტური მანერულობას, რომელმაც სოციალისტური რეალისზმა-  
დში მტრულად განწყობილი მხატვრები ნაპალადედად ნერგადენენ  
სამხატვრო აკადემიებში. საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში  
მტკიცედ დაემკვიდრა სოციალისტური რეალიზმის მეთოდი, მოსწავ-  
ლე ახალგაზრდობა ეუფლება ურსული რეალისტური სკოლის მა-  
ღალ ტრადიციას, ეგრძნობს ფრმალიზმისა და ნატურალიზმის ყურ-  
ველგარე გამოვლინებს, ცხოვრების მოვლენების სუბექტივისტურ  
სახეებს.

აღინშულმა გამოყვინამ დაგვანახა, რომ მოსწავლე ახალგაზრ-  
დობას სწორად ესმის საბჭოთა მხატვრის საბჭოთა ამოცანები —  
დაცემის კომუნისტური მშენებელ ხალხს უნდობი ღრმად შეივსოს  
ჩვენი მრავალფეროვანი და სანტრესო სინაფილი, დაეხმაროს  
სიეთი ნაწარმოებებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ საბჭოთა ხალ-  
ხის შემოქმედების წინსვლას, უმღერებენ შრომის და ხალხთა  
შროის მშვიდობის განმტკიცებას.

ახალგაზრდა მხატვრების ეს პირველი ნაბიჯი საფუძველს ვეა-  
ძლებს ვიფიქრო, რომ ისინი დიამოებებენ ახალ-ხალს გამარჯუ-  
ლებს, თუ კიდევ უფრო ამაღლებენ თეიანით დიფერ-პოლიტიკური  
მომზადების ღონეს, უფრო მეტად განიმსჯელებინან კომუნისტური  
პარტიის სულისყუებითი, უფრო გააღრმავებენ პროფესიულ ჩვე-  
ვებს და ოსტატობას. მაგრამ ოსტატობის დაუფლება საყ-  
მარისი რეალად შემოქმედებითი სრულყოფისათვის. კომუნის-  
ტური საზოგადოების ახალგაზრდობამ მქედვარე მხატვრის თვა-  
ლით უნდა შეივინოს ცხოვრება, მართალი გრძნობითა და გულწ-  
რფელობით გადმოსცეს ის, თავიდან აიცილოს ერთფეროვნება, ემო-  
ციური და მეტეუელი გახადოს ყოველი თავისი ნაწარმოები.

გამოყვინამ დაგვანახა, რომ ჩვენს ქვეყანას ყოველწიორად ენტ-  
რება მხატვართა ახალი ძლიერი კადრი. ხელა ზვედ უფრო მეტი  
მხატვრები ვეყვებულა, ვიდრე გუშინ, ბოლო შემდეგ კი სამხატვრო  
ინსტრუქტ-დამოაგრებელი უფრო მეტ სიხარულსა და სიამაყის  
გრძნობას მოგვტრებდა, ვიდრე დღეს. მაგრამ გამოყვინიდან მიდევ-  
ბულმა შობაქცილებამ არ უნდა დაგვავიწყოს, რომ ზოგიერთი  
სადილობო ნამუშევარი იყო უფერული, ზერელი, ცრვი, რაც იმით  
არისწნება, რომ ამ სურათების ავტორები პასიურად ქვეტენ ცხოვ-  
რებას, ახლოს არ არიან ჩვენი ხალხის შემოქმედების მუშაობასთან.

ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებლებმა მეტი ყურადღება უნდა მიაც-  
ქონონ პორტრეტის კანონს, მაღალში იმის, რომ ახალგაზრდობის მიერ  
შესრულებულ პორტრეტებში აღბეჭდილი ფსიქოლოგიური თვისებე-  
ბი სიმათლით გამოხატავდეს საბჭოთა ადამიანის ტიპურ თვისე-  
ბებს, კიდევ უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებს პეიზაჟის კანონი.  
ამ კანონის სურათებით უნდა აისახოს საბჭოთა ადამიანის ხელით  
გარდაქმნილი ბუნება. მათ უნდა ამაშვენენ ჩვენი ხალხი ყოფა-  
ცხოვრება.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლების ეკრს-  
დამთავრებულთა პირველი ნაბიჯი მკაყოფილებით მიიღო ფართო  
საზოგადოებრიობამ. გამოყვინამ ვაზარდა ხანების დიანტრესებმა  
საბჭოთა სახეითი ხელოვნებით, ხელი შეუწყო ახალგაზრდა მხატ-  
ვართა შემოქმედებითი მიღწეების ფართო პოპულარიზაციას, ამაღ-  
ლა ახალგაზრდა ავტორების პასუხისმგებლობის გრძობა, შეწენება  
იმისა, რომ უფრო ღრმად, მეტი ოსტატობით და მხატვრული  
მქედვარებობა სახსონ კომუნიზმის მშენებლის ხალხის შემოქმედ-  
ებით შრომა, მშვიდობიანი ცხოვრება, ლენინ—სტალინის დაიდი კო-  
მუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი.

სასურველია, რომ ასეთი გამოყვინის მოწყობა ჩვენი ქვეყნის ქლა-  
ტებში ტრადიციად გადაიქცეს.



ქართული მუსიკის ისტორიისა  
და თეორიის საკითხები

# ქართული ხალხური საგუნდო კულტურის ისტორიისათვის

გრიგოლ ჩხიკავაძე



ართველმა ხალხმა თავისი მუსიკალური ნიჭი და შემოქმედებითი უნარი უმეტესად სასიმღერო ხე-ოქნების დარგში გამოავლინა.

თუ ქართულმა ხალხურმა ინსტრუმენტულმა მუსიკამ, მიუხედავად ეროვნული სამუსიკო საკრავების საკმაოდ სიმრავლისა და ნაირსახეობისა, სათანადო განვითარება ვერ განიცადა და ამის შედეგად ვერც მდიდარი მუსიკალური ლიტერატურა დაგვიტოვა, სასიმღერო შემოქმედების ხაზით ჩვენ მოგვეტოვა მაღალმატერული ნიმუშების შეტად უხვი მასალა, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მსოფლიო მუსიკალურ ფოლკლორში. ამის გამო ქართულ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იხიდაც სიმღერა და უპირატესად მრავალხმიანი სიმღერა — თვითმყვი და მეტად მდიდარი.

ისტორიული და ლიტერატურული წყაროებით ირკვევა, რომ ქართული ხალხური სიმღერის სათავეებს მიეყვებათ ათასწლეული წლების სიღრმეში. ქართველმა ხალხმა ჯერ კიდევ შორეული საუკუნეებში გამოიმუშავა მტკიცე მუსიკალური ტრადიცია და შექმნა ფრთავი ორიგინალური მრავალხმიანობა, რაც საუფაშვლად დედოქ ქართული ხალხური საგუნდო კულტურის ადრინდელ განვითარებას.

ჩვენამდე მოსული ფოლკლორული მასალის მიხედვით გუნდური სიმღერის სამგვარი სახით სრულდება — უნისონური, ორხმად და სამხმად; ოქტავური მღერა უცხოა ქართული ხალხური სასიმღერო შემოქმედებისათვის.

ქართველ ხალხში ძველთაგანვე ჩაისახა პარმონიულ-პოლიფონური აზროვნება, რამაც მღვდელი ბიჭი მისცა მრავალხმიანობის წარმოშობას, და ეროვნული კულტურის ამოვლიობის პარალელურად, მის შემდგომ განმტკიცებას და თანდათანობით განვითარებას. მრავალხმიანობა ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ქვაკუთხედი, ხოლო გუნდური ერთხმიანობა — მისი ისტორიული წარსული.

ქართველმა წინაპრების სასიმღერო შემოქმედების შესახებ თავდაპირველი ცნობა, რომელიც პირველად ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნეში გვხვდება, ეხება სწორედ სიმღერის კოლექტიურ, გუნდურ შესრულებას. ამ ცნობაში, რომელსაც ასურეთის მეფე სარკონი იძლევა მის მიერ დაპყრობილ ურარტუს ერთ-ერთ სამთავროს — მანას ალწერისას, განმარტებულია, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი შრომის დროს მხიარულ სიმღერებს ასრულებდნენ.\* ცხადია, აქ ჩვენ საქმე გვაქვს შრომის სიმღერებთან, რომელთა მეფე სარკონის უშუალოდ მუშაობის პროცესში მოუსმენია.

მეორე საყურადღებო ცნობა ჩვენს წ. ა. IV საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის ქსენოფონტის შრომაში ამოკითხვით, ეხება გუნდურ სიმღერას. უკანასკნელი გვაუწყებს, რომ ქართველი ერის ერთ-ერთი უძველესი ტომის წარმომადგენლები ერთი ანუ

ტანები ომის დაწყების წინ საბრძოლო სიმღერებსა და ცეკვებს ასრულებდნენ\* აქედან ირკვევა, რომ ორივე შემთხვევაში ლაპარაკია ქართული საგუნდო შემოქმედების სხვადასხვა განხის ნიმუშებზე — შრომის, საბრძოლო ანუ სალაშქრო და საცეკვაო სიმღერებზე, რაც ამაყარავებს ქართული ხალხური სიმღერის განრობრივ ნაირსახეობას ჯერ კიდევ ჩვენს წ. ა. პირველი ათასწლეულის VIII და IV საუკუნეებში. ამ ცნობების ავტორები კიდევ უფრო მეტ სამსაზრის გაგვიწოდებენ, რაიმე რომ ეთქვას მოსმენილი სიმღერების მუსიკალური ტექსტების შესახებ, თუნდაც აღვნიშნათ — ეს სიმღერები ერთხმიანი თუ ორხმიანი იყო. მაგრამ, თუ გავივლილწინებით იმას, რომ ჩვენამდე მოღწეულ ქართულ სასიმღერო მასალას შორის გვხვდებით ისეთ ორხმიან სიმღერებს (მათ შორის შრომის, საწესო-სარიტუალო და საფერხული სიმღერები)\*\*, რომელთა სიტყვიერი და მუსიკალური ტექსტი წყაითათულ ხანას ეხმარება, შეიძლება ვთვაროთ, რომ ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებშიც ორხმიანობასთან გვაქვს საქმე. ამგვარად ამ ისტორიულ ცნობებზე და არსებულ სასიმღერო შემოქმედების ზოგიერი ნიმუშებზე დაყრდნობით ნათლად შეგაინებება ერთი მხრივ ქართული ხალხური სიმღერის მრავალსაუკუნოვანი ისტორია და მეორე მხრივ — მრავალხმიანი საგუნდო კულტურის ჩახსახვა — განვითარების გრძელი პროცესი.

ქართველმა ხალხმა დღემდე შემინახა რამდენიმე ნიმუში გუნდური ერთხმიანობისა, რომელსაც გვხვდებით უმთავრესად აღმისასვლელ საქართველოს მთიელის (კერძოდ, თუშ-ფაშა-ხევისურების), აგრეთვე ხეხუნურ და ლაზურ მუსიკალურ ფოლკლორში აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართული ხალხური უნისონური თუ მრავალხმიანი სიმღერა პრინციპში სრულდება ერთგვარიანი კოლექტივის — უმეტესად ვაითა, იშვიათად ქალთა გუნდის მიერ. შეიქმნილი (ქალ-ვაითა) გუნდი არ არის დამახასიათებელი ქართული ხალხური სიმღერისათვის. ამასთანავე ძველი ქართული საგუნდო სიმღერა, როგორც წესი, სრულდება à capella, სკავალის თანხლებას გარეშე.

ქართული საგუნდო კულტურის საწყისების გამორკვევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღმისასვლელ საქართველოში შემონახულ ორხმიან სიმღერებს\*\*\*, რომელთა მთელი რიგი წმინდა მუსიკალური თავისებურებანი მკაფიოდ ამჟღავნებენ ეროვნული მუსიკალური ხელოვნების გადამამოხატვას, კერძოდ, მუსიკის მიერ მავთიური, საწყისო ფუნქციის შენარჩუნებას. ამას მოწმობენ ერთ-ერთი შრომის და საფერხული, ხოლო მეორე მხრივ წარმართულ კულტურან დაკავშირებული საწყისი სიმღერები, რომლებიც წარმოადგენენ პირველყოფილ სინერჯიზმის ნიმუშს — მოძრაობის, სიტყვისა და მუსიკის კომპლექსს, რომელსაც, ყოფის პრიმიტიულობის გამო, ჯერ კიდევ არ განვცდად დღევანდელიცაია (სა-

\* აკად. ივ. ჯავახიშვილი, პროფ. ბ. ბერძენიშვილი, აკად. ა. ჯანაშია «საქართველოს ისტორია, 1943 წ. გვ. 31-32.  
გ. ჩხიკავაძე, «ქართული ხალხის უძველესი სამუსიკო კულტურა», გვ. 9.

\* ივ. ჯავახიშვილი, «ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1938 წ. გვ. 223.  
გ. ჩხიკავაძე — აღნიშნული შრომა, გვ. 11.  
\*\* გრიგოლ ჩხიკავაძე, ქართული უმუსიკალური კულტურა უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე.  
\*\*\* საერთაშორისო აღმოსავლელი საქართველომ უფრო მეტად შემოინახა ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების უძველესი ნიმუშები.

დიდებელი სკენები, საწარმოო პროცესები, მიცვალებულია მიმართ გალობა-დატრებიანი, ფერხულები და სხვ.). სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ შემდეგი სიმღერები: „დიდება“ (ღვთაების სადღებელი ჰიმნი), „მზე შინა“ (ქროსათან დაკავშირებული მიმართა შინადა), „ზარი“ (გვლით ამსახველი მღერა-დატრეება). ფართოდ ცნობილი „იავ-ნანა“ (ხალხის რწმენით იწვევს) სკენით დაკავებული ბავშვის განმკურნებელი სიმღერა), „პერიო“, „პერივა“ (შრომის პროცესთან დაკავშირებული სიმღერები), „ნანავა“, „მუმლი მუხასა“, „სათამაშო“ საფერხულო-საცეკვაო სიმღერები) და ა. შ.

ჩამოთვლილი სხვადასხვა ჯგუფის სიმღერების ურთიერთს მართკო ორხმანიობითა და ორგანოების — ანტიფონიური შესრულებით ტრავაგებთან, ხოლო არტიკულაციის, ხმათა თანფარდობის, ემპირა-რიტმის, საერთოდ მუსიკალური გამომსახველობის საშუალებათა მხრივ, ისინი ურთიერთისაგან ძლიერად განსხვავდებიან. ერთ მხარეს ეხედვით სასულტო-საწყისი, ხოლო მეორე მხარეს — შრომისა და საცეკვაო-საფერხულო სიმღერებს. პირველი შეადგენს მხოლოდ ქალთა რეპერტუარს და სრულდება ერთი მოქმედის ან. ერთი-მეორის შენაცვლებით, ორი მოქმედის ნიჭი გუნდის ფორმე, რომელიც ანაბულ ბანს შეუხმობს. მთავარი მნიშვნელობა ენიჭება რიტმს, რომელსაც ემორჩილება ყველაფერი — მოძრაობა, მუსიკა და სიტყვიერი ტექსტი. ეს უკანასკნელი მხოლოდ დამაზრდი ელემენტია — მისი შინაარსი მეტად მარტივი და ამასთან თავისფულ-შემხებევიანია, ხოლო ხშირად. სიტყვიერი ტექსტი წარმოადგენს ტაქტის მკაფიოდ გამოყოფისა და რიტმის განმავლობისათვის გამოყენებულ ცალკეულ შეძახილებს ან ტქსტსა და ტექსტს შუა ჩართულს, ამაგად შინაარსმოკლებულს. სრულიად გაუკვებარ ისეთ გამოთქმებს, როგორცაა, მაგალითად: — „პეი“, „პერიო“, „პოხუნა“, „პერი ევა“, „არალო“, „ნანავა“ და ა. შ.

ამის გარდა ამ სიმღერებში რიტმის განმავლობა გავლენას ახდენს აგრეთვე მეორე ხმაზე, რომელიც სასულტო-საწყისო სიმღერების საორგანო ბუნებისაგან განსხვავებით, როგორც რიტმულად ისე ინტონაციურად მოძარბე ხდება, თუცა ის ტურციის ფარგლებს არ სცილდება და ქმნის ყველა შემთხვევაში საერთო ტიპიურ მონახას — basso ostinato-ს.

როგორც დღემდე ჩაწერილი ფოლკლორული მასალის შესწავლამ დაგვარწმუნა, ორხმანიობის ეს ორი ძირითადი სახე — 1) მუსიკალური საორგანო ბუნების ბანში და 2) მკლოდა basso ostinato-ს თანხლებით წარმოადგენს ქართული ხალხური ორხმანი საუნდო კულტურის მთავარ საფუძველს და ტიპიურ ვაშისახელებს.

ამასვე გამწინეთ მეგრულ მუსიკალურ ფოლკლორში, სადაც წარმოდგენილია ორხმანიობის მხოლოდ პირველი სახე — სოლისტ-ტაქსტული ბანის თანხლებით.

მუსიკალური ტრუქტურის მხრივ განსხვავებულ ორხმანიობის გზებებით აპარულ სასიმღერო შემოქმედებებს. აქ ორხმა პოლიფონიურად არის შეფარდებული, სხვა კანონზომიერების ეწყარება და ცალკე კვლევის საკვან წარმოადგენს. ტექტიკით მხოლოდ ორი ორხმანიობის აპარული ნიმუშები ქართველი ხალხის განვიარებული მუსიკალური აზროვნების პროდუქტია და განხილული ორხმანი სიმღერების გვერდით მდებ დავაყენებთ.

ქართულმა ხალხმა თავის მესხიერებაში დღემდე შემოინახა რანდენიმი სიმღერა, ორხმანიობის მეტად პრიმიტიული ნიმუში,

რომელიც ქართული ხალხური მრავალხმანიობის ჩანახას, დასაბამს, მისი ჩამოყალიბების ადრინდელ საფეხურს უნდა წარმოადგენდეს. ასეთ ორხმანიობის გვეხვეთი უცხურულ მუსიკალურ ფოლკლორში, რომლის დამახასიათებელია უშთაბრესად ეტიხმანიობის ორი განმსებრა — სოლიერი და გუნდური (ფისონორი) თავის მხრივ ხეგურული ერთხმანიობაც აკარავს ამგვარებს სკენ-მაოდ პრიმიტიული მუსიკალური აზროვნებისა და სასუნდო ბუნებრივითა, თუ ორხმანიობის ერთ-ერთი პირდახელი სახე აქამდე შემოინახავს სწორად ხეგურებმა, რომლებიც, საერთოდ, უძველესი ქართული კულტურის ცოცხალი მატარებლები არიან. ასეთი ორხმანიობის ყველაზე მკაფიოდ მაგალითია კომპოზიციური შ. მშველძის მიერ ჩაწერილი სიმღერა — „სუთშაბათი გათენდება“, რომელიც ხმათა თანფარდობის მხრივ, მოვკავონებს წეშითგანხილულ ორხმანი საწყის სიმღერებს, მაგრამ ბევრად უფრო მარტებს და ერთფეროვნებს.

მეორე ხმა ანუ ბანი ჩაერთვის მდამ სიმღერის ყოველი მუხლის დასასრულს უნიტონო, რომელიც ცონიკას წარმოადგენს ამგვარად ეს ხმა, რომელიც ახალი მუხლის დასაწყისშივე გამოერთვით, არსებობდა ახალს არაფერს იძლევა. გარდა იმისა, რომ სიმღერის ტონური ფუნქცია ამსახველად. ამგვარად ბანის ფუნქცია იმდენად შემოფარგლულია, რომ ამ სიმღერაში ვერ არის ჯერ კიდევ ნაოლად გამომღავნებულ პარმიონული შეგრძნება და იგი ერთხმანი და ორხმანი სიმღერის მიჯნულ დღეს, საურაღდება, რომ ამ შემთხვევაში პირველი ხმა ინარჩუნებს ხეგურული ერთხმანი რიტმის ტიპიურ ფორმირებას — დამოკლებულ გამისებურ მოძრაობას, რაც თავის მხრივ მის არქაულობაზე მიკეთიბება.

ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში მთავარი ადგილი უჭირავს სამხმანიობას, რომელიც გამომსახავს ქართველი ხალხის ცხოვრების ყოველ მხარეს. სწორედ სამხმანი სიმღერებში ვაჩივებლიან ქართულმა ხალხმა თავისი მძალევი მუსიკალური ნიჭი, შექმნა ერთეული სამხმანი შემოქმედების კლასიური ნიმუში. შორეული საუკუნეებიდან მომდინარე საინტონაციო პრაქტიკამ და მუსიკალური ტრადიციების უსაზღვრო მრავალფეროვნებამ განაპირობა ქართული საუნდო ხელოვნების ფართო განვითარება და მაღალი შესრულებლობითაა ისტაბილამ.

ქართული ხალხური სამხმანიობის სახის დამახასიათებელია ტენებისა და ფორმების დიდი ნაირსახეობა. მასში გამოილენილია ხალხის სიმბრე, პატრიოტული სულისკეთება, ჯანსაღი სულა, დაუღალავი შრომა, სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლა, სოციალის ხალხის, გონებამზავილი იუმორი. განტრების მხრივ იგი შეიძლება დაყუთო შრომის, საკმრო, საწყსო, საყოფა-სოცობრო, მგზავლული, სუფრულ, სატრფიალო, ლირიკული, სალამ-ქრო, საცეკვაო, საფერხულო, სახუმარო და სხვა სიმღერებად ფორმის მხრივ გვხვებით როგორც სტროფულს, ისე ფართოდ გამოლო-განვითარებულ სამხმანი სიმღერებს.

ნაირფორმების იძლევა აგრეთვე სიმღერის მუსიკალური აღნაგობისა და სამხმანიობის ურთიერთ დამოკლებულობის სხვადასხვაობა. აგრეთვე ეთიოპული ხმის მონაწილეობა სიმღერის მატარებელი სახის შექმნაში.

აღნიშნული ნიმუშის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს სასიმღერო შემოქმედებაში უშთაბრესად შემდეგი ჯგუფის სამხმანი საუნდო ნიმუშებს ვხვდებით: 1. განიარბა ნხები ოტკაეში მობრაობენ ხოლო მელოდა მეორე ხმას მიჰყავს 2. ძირითადი მელოდა ზეგითა ხმას მიჰყავს. მეორე ხმა უშთაბრესად ტრეციულ შეფარდებას 3. სიმღერის წამყვანი პირველი ხმა, მაგამ მეორე ხმაც დამოკლებულად მელოდური ქარგას ქმნის და პირველთა პოლიფონიურ შეხამებას იძლევა; 4. ორი ზეგითა ხმა ხან ერთი-მეორის შენაცვლებით, ხან პარალელური მოძრაობით ანვითარებს სიმღერას. ბანი ყველა ოთხხვე შემთხვევაში ასრულებს პარმიონულ ფუნქციას და უშთაბრესად საორგანო ბუნების წამყვანად. აქვე აღვნიშნავთ, რომ სამხმანი სიმღერაში დამწყებად უპირატესად მეორე ხმა მიმდებარეობს.

პირველი ჯგუფის სიმღერების ნიმუშები ნაკლებად მოვეყვებამ.

მის მკაფიო გამოხატულებას ენახულობთ შრომის სიმღერებში „მოკი, პური შემოსულა“.

გიორგი ჯავახიშვილი მიყვარებოდა კულტურით ფორმის სიმღერები მარტოვე პარამონიული ფაქტურით. ასეთებია უშთაერესად ლირიკული, სატყეველო, მგზავრული, სახუმარო, საცეკვაო, აგრეთვე წყობის სიმღერების ნაწილი. ყველა ეს სიმღერა პარამონიულია, მაშინ ისევე, როგორც პირველი ჯგუფის სიმღერებში, დაყვლია მუსიკით რიტმი. თითქმის ამ სახის ყველა სიმღერას მოხაზილი ანუ მეორე ხმა იწყება.

სატრეკული სიმღერები შორის თავისი მუსიკალური სტრუქტურით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვაგისა და ქალის სიმღერა-დილოგს, რომელიც სრულდება მორეკავიზით — კიოხვა-პასუხის სახით. სიმღერას ამთავრებს მთელი გუნდი, რომელიც იმეორებს დილოგის შინაარსს. (მაგ. „ნეტავი გოგო, მე და შენ“).

რაც შეეხება მესამე კატეგორიას, იგი შედგება საყოფაცხოვრებო, შრომისა და ისტორიული სიმღერებისაგან. ამ სიმღერებში პირველ და მეორე ხმას შორის ადგილი აქვს პოლიფონიურ მომენტებს. ესენი უფრო მეტად განვითარებულია და მდიდარი როგორც მელოდიურად და პარამონიულად, ისე იმეორიურად. სიმღერებში გვხვდეთ რიტმი-მეტრიულ სხვადასხვაობას და სამოღელაულო გადახრებს, მაშინ როცა პირველი კატეგორიის სიმღერები აგებულია უშთაერესად ერთ წყობაზე (იხ. „შაშვი-კაკაბი“, „გუშინ შეიძინე გოგონა“).

მუსიკალურ გამომეტყველებათა საშუალების მხრივ ყველაზე მდიდარი მეთხვე კატეგორიის სიმღერები, რომლებშიც ძირითადად შედის პარამონიულ-პოლიფონიური აღნაგობის სუფრული სიმღერები. ამ სიმღერების პანკები ვაშლილი და ღრმა იმეორიურია და ქართული სასიმღერო ფოლკლორის ერთ-ერთ უსანიაოდ სახეს წარმოადგენს. სრულდება საზეიმო და ამაღლებული ხასიათით. ორი ზეგია ხმა, ცდილობს ნა გამოკვირის შესრულებულის ისტატობა, ფართოდ ანეითარებს მელოდიურ ხმას, რომელიც ხან ერთი ხმადან მეორეში გადადის ერთი მათგანის გამორთვის დროს, ხან ორსველ ხმადი პარალელურად მოძრაობს. უკანასკნელ შემთხვევაში, ორივე ხმა ურთიერთს ეკუთრება ხმის მოქნილობაში და მელოდიას მოსავს იშვითი ხვეულებით, რითაც ქმნის თავისებურ პოლიფონიურ ქოვოლს.

ერთი ხმის ჩართვისა და მეორის გამორთვის მომენტში, თითოეულ მომდრალს ეძღვეა საშუალება თავისუფალი იმპროვიზაციისა, რის გამო სიმღერა თანდათან უფრო შინაარსიანი და დაძაბული ხდება.

ეს სიმღერები, მიუხედავად იმისა, რომ შედგება რამდენიმე ეფსილიდან, რომლებიც, ტრანალური გადახრების გამო, დამორბეულია ერთი მეორეს უშთაერესად სკვენდით, მოცემულია ერთ მთლიანობაში. სიმღერა უმეტეს ნაწილად იწყება და რჩება ზეგიათ ფარდებში, ამასთან ყოველი გადახრების შემდეგ (განმეორება, ტექსტის მიხედვით რამდენიმეჯერ შეიძლება მოხდეს) მთელი სიმღერა მალედება ერთი საფეხურით, რაც მას აძლევს განსაკუთრებულ საზეიმო ხასიათს.

მელოდიკის მხრივ ეს სიმღერები დიდად საყურადღებოა. მათში მდიდრულად არის წარმოდგენილი ერთი მხრივ ქართული მუსიკალური ორნამენტაჟი, ხოლო მეორე მხრივ ქართული რეტიტატის თავისებურება, რომელიც გამოყვეცემს თბილისის მეტყველების ინტონაციის ელემრს (მაგ. „სუფრული“, „სუტორი“, „შრავილაგაძე“, „ჩინაფორი“ და სხვ.).

კახური და ქართლური სუფრული სიმღერები დიდ ინტერესს წარმოადგენენ პირველი ტრანალური გადახრების მხრივ. ამის ამაკაზა მავალითად შეიძლება დავასახელო კახური „ჩაქრული“, სადაც ხალხმა გამოაჩინა დამახასიათებელი სამოღელაულო ხერხები, რომელთა მეშვეობითაც სიმღერა შორეულ წყობაში ხვდება, ხოლო შემდეგ, იყენებს ნა ენმარინონზს, დასასრულ, თავდაპირველ ტონალობას უბრუნდება.

ამ კატეგორიის სიმღერებს მიაკუთვნებთ აგრეთვე საქორწილო სიმღერას „მკაყრულს“, საადღვამო სადილებელ სიმღერას „ქონას“, საშობაო სიმღერას „აღილის“.

ამავე კატეგორიაში შედის რაჭული საშობაო სიმღერა „აღილი“, რომელიც ქართული ხალხური საყურადღებო სიმღერის მეტად ორიგინალურ სახეს წარმოადგენს. რაჭაში ეს სიმღერები საკმაოდ ბევრი შემონახა და თავისი მრავალფეროვნებით, მდიდარი მელოდიით და პარამონიული ფერებით დიდად საყურადღებოა არიან. წყობისა სტრუქტურის, გადახრებისა და მოღელაულის მხრივ ეს სიმღერებს ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. თითოეულ მათგანში სხვადასხვა გვარადა წარმოდგენილი ტრანალბის შეცვლის ხერხები, რაც სიმღერას ამაღლებს და მომზიველს ხდის (იხ. „აღილი“).

ისევე როგორც რაჭველები, სვანები დასავლეთ საქართველოს მისს შეიკრები არიან. მუდმივ თვითი დამოუკიდო სვანების, განსაკუთრებით, ზემო სვანების მალა მთებში ცხოვრობენ ხალხი ზელოწაში ექვს თვეს ქალაქს მოწყვეტილი იყო, საერთოდ აღ, წუნებრივი პირობების გამო სვანებს არც სხვა დროს ეხალისებოდათ ეკრას მოცილებდნენ და ბარად ჩამოსულიყვნენ.

ასეთი კარგატელობა და გამოყვანა ხელს უწყობდა სვანების შეინარჩუნებინათ უძველესი ადითი, ზე-ჩვეულება და ცხოვრების წყობილება. ამ პირობებში სვანეთი ახვდა ქალაქური სამსოკო კულტურის გავლენას და სვანური სიმღერებში-ქართული ფოლკლორული მუსიკის უნიკალური ნიმუშები წმინდად იქნა შემონახული. სვანების ზეადი ბუნების მსგავსად, სვანური სიმღერები, თავისი ხასიათით მკაცრი, დიდი და მძლავრია, ამასთანავე მდიდრულ შეკრულია. სვანური საუნდო მუსიკა გვაოცებს თავისი მჭიდროდ აღიქვით და მტკიცედ ჩამოყალიბებული პარამონიული და წყობილი სტრუქტურით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთი მხრივ სვანური სიმღერების მელოდიკა მოწყვეტილია ერთი ჩარჩოში, რაც მათ ერთფეროვნების დაღს ასვას. ხოლო მეორე მხრივ, — წარსული სვანის მოღვმედილობის ჩამორჩენილობისა და შეზღუდულობის გამო, სვანურ მუსიკალურ ფოლკლორში ქარბად არის წარმოდგენილი საკულტი სიმღერების ნიმუშები.

სვანური საუნდო სიმღერების საფუძვლეს წარმოადგენს სამხინაობა. მათი დამახასიათებელია გამოხატელობა, დახვეწილი რიტმი, ნაივლი მუსიკალური უფრო, სიღრმად ხალხურ წარმართობაში. ამ შესივსი ხერხი უფრო მეტად ქართლ-კახურ სიმღერებს მოვავიგონებენ, ვიდრე სვანების ახლო მეზობლებს — იმერლებს, ვერულელებს და მეგრელების სიმღერებს.

სტრუქტურის მხრივ, სვანურ სახმინა სიმღერებში, ჩვეულებრივ, მელოდიური ხაზი ერთ ხმას — ხან პირველს, ხან მეორეს მიჰყავს, რაც შეეხება დამოკიდებულ ხმას, იგი, მართალია, მიყვება მთავარ მელოდიას, მაგრამ მუდამ როდღ ემორილება მას. ზოგ ადგილებში ეს ხმა თავისუფლად მოძრაობს, რაც, წამყვან ხმასთან შეფარდებით ქმნის სხვადასხვა ინტრაგურალ შეხამებებს — სტყუნდიდან კინტამად.

სვანური ხალხური სიმღერებისათვის დამახასიათებელია ხშირი სკვენდური შეხამება ორ ზეგიათ ხმადი ან სტატემური შეხამება განარბა ხებებში და სამივე ხმის კომპლექსური მოძრაობა ძირითად სამხმედიანებში, რაც ქმნის განსაკუთრებულ კოლორიტს („ბუბა ქაქურეა“, „შიღება“).

ქართული თვითმკვიფი ხალხური პოლიფონია მთელი თავისი ნარატორეობით წარმოდგენილია იმერულ, გურულ, მეგრულ და აჭარულ სამხმინა სიმღერებში. მაგრამ მათ შორის, კონტრასტულ-ტექტურ ხერხებით სირთული, ხმათა ურთიერთდამოკიდებულების თავისებურებით და ინტონაციურად განვითარებულ პანის აქტიური მონაწილეობით, გამოირჩევიან გურული სიმღერები.

გურულბის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მათი მრავალხმიანობა წარმოადგენს უნიკალ საერთო მუსიკალურ ფოლკლორის საკანძურში. გურულ სიმღერები ფოლკლორის, თავისი რეტექტორიკის მიხედვით. თვით ქართულ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაშიც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: ეს განსაკუთრებული მდგომარეობა არის მარტო ფაქტურაში ან სიმღერების მუსიკალურ შინაარსში, არამედ მათი შესრულების თავისებურებებშიც.

გურული სახმინა სიმღერა გვაოცებს ტექნიკურად მდიდარი, როდულ და მრავალფეროვანი მუსიკალური მასალით, რომელიც განვითარებულია პოლიფონიური საწყისის საფუძველზე, და ეს პოლი-

ფონია წარმოდგენილია მეტად რთულ კომპლექსებში ყველა კონტრამეტული ხერხით (იხ. ეს სოფელი საზოგადოება).

გურული სიმღერის სიმღერების ერთ-ერთი თავისებურებაა, რომელიც უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, წარმოადგენს „კრიზანტულად“ წარმოდგენილ სექვიფორის ზეგითა. მისი კრიზანტული ხაზით და მალე ფარდებშია, აქვენი ფორმების ხის ტრიალით, ქმნის არსებითად ორნამენტული ხასიათის მრავალჯერ ფორმულას სიმღერის სიმსუსეთი და მისი რხევითი, როგორც ზომიერი, ისე სწრაფი მოძრაობის დროს. ამასთან ყოველივე ეს არ წარმოადგენს მარტო პარონიული ნოტივს ან მელიოდორ შემოკლებას, არამედ ორგანულად უკავშირდება დანარჩენ ხმებს და იტყვება ინდივიდუალურ თავისუფლებას ამა თუ იმ მუსიკალურ სახის საზღვრებში.

გურიაში კრიზანტული მიანიშნებს შესრულებითი ხელოვნების მაღალ საფეხურზე. კრიზანტულის მოქმედება სარგებლობს დიდის ბატონი, ხალხი მათ არ ივიწყებს და თხზავს სიმღერებს იმათ საფუძვლად. გურული მრავალხმიანი სიმღერების მეორე დამახასიათებელი თვისებაა უნდა ჩათვალოს ბანის როლი, რომელიც ცხოველ მონაწილეობას იღებს მთელი სიმღერის მოძრაობაში.

ზოგჯერ სიმღერას ბანი იწყებს და იგი თვლება ერთ-ერთ წამყვან ხმად, რასაც არც ერთი ქართული ტომის სიმღერებში არა ყველგან („ხასმაგური“, „ინდი-მინდი“).

ეს სიმღერები სრულდება დიდ დაძაბულობით და ხშირად შეტევით, ყველა ხმა იტყვება აქტიურ მონაწილეობას სიმღერის დასრულებამდე. ყოველი მიმდევარი, გზას უხვევს რა შესრულების წინასწარ დაკანონებულ ხერხებს, ცილობას გამოავლინოს თავისი მაღალი ოსტატობა, ამით იქმნება პოლიფონიური ელემენტების ურთულესი კომპლექსები. მრავალხმიანი სიმღერებში თითქმის უგულებელყოფილია პარონიული ვერტიკალი. მონაწილე სამი სხვადასხვა ხმა ლინეარულ-პოლიფონიურ, პირიპრიალურ ურთიერთკავშირში იმყოფება. ფაქტურის ასეთი სირთულის გამო, ამ სიმღერებს ხშირად ორჯერად ან უფრო ხანგრძლივად (ერთი მეორის შენაცვლით) უკრებენ.

კრიზანტულით სრულდება უმეტესად მუზაგურული, მყურული, საგანბრო, ისტორიული, შრომის სიმღერები. რაც შეეხება ლირიკულ, საბრძოლველ, სუფრული სიმღერებს — აქ კრიზანტული აღარ ვხვდებით, რაც არსებითად სკდვის სიმღერის ხასიათს; იგი ხდება მშვიდი და მელიოდორი. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეგრული მუსიკალური ფოლკლორი.

სტილია და ენების მიხედვით დიდდარ და მრავალფეროვან მეგრულ მუსიკალურ რეპერტუარში დიდი ავალია აქვს დათმობილი ლირიკულ სიმღერებს. ლირიკა ძირითადად მეგრულ სასიმღერო შემოქმედებაში, რომელიც უშუალოდ განისაზღვრება სახმანის სიმღერებით. მეგრული ლირიკული სიმღერებისათვის დამახასიათებელია პანგების დაკავშირება გარკვეულ პოეტურ ტექსტებთან, ამის გამო მეგრული სიმღერების მეტრო-რიტმული მხარე ლექსის მეტრთან მთლიან დამოკიდებულებაშია. შესრულების სტილი მშვიდი და თანაზომიერია.

მეორე გავსებს კუთონის მხნე ვაკეკური, მოძიკა და დრამატიზირებული სიმღერები აქ შედის შრომის, მუზაგურული, მყურული, საცეკვაო სიმღერები, რომლებშიც ყველა სამი ხმა აქტიურად მოქმედებს და ქმნის პარონიული-პოლიფონიურ შეხამებას. თუ პირველ შემთხვევაში (ლირიკულ სიმღერებში) მელოდია მისივე პირველ ხმას, რომელსაც ემორილება ორი ქვევითა ხმა მეორე ვაკეკურის სიმღერებში, ორი ქვევითა ხმა არ იმყოფება პირდაპირ დამოკიდებულებაში ზეგითა ხმასთან და ქმნის ნათლად განსუფილდ მელიოდორ — ინტონაციურ კონტურებს. დიდრ და ნაშე ლირიკული სიმღერებისაგან განსხვავებით ამ კატეგორიის სიმღერები, დინამიკური და ემოციურად დაძაბულია. შესრულების სტილი ამალდებულია.

საქორთა აღინიშნოს აგრეთვე მეგრული სიმღერებისათვის დამახასიათებელი ოთხობრი, რასაც შემსრულებლები აღიქვამენ თავისებური მეტრო-რიტმული მოხაზულობის და სხარტ ინტონაციური მომოქცევის გამოყენებით. ამ გავსებს კუთონის სახეობარ და საცეკვაო სიმღერები. მათი სუფიერული შინაარსი იძლევა მხიარულ და მუსიკალურებს, ხალხის, სრულდება ფხიზლად და გაცხივებულ ხასიათს ატარებს.

ფართო საზოგადოებრიობისათვის ქართული ხალხური საგუნდო კულტურის განსაცდელად პირველი პირველი ნაბიჯი ცნობილია ქართულმა მოღვაწემ ხარაღამი სავანელმა ვადალდამ. მან 1873 წელს ჩამოაყალიბა გუნდი და 1874 წლის 12 აპრილს (ძვ. სტ.) ქართული საგუნდო სიმღერების გამომწვევებისა და ფართო პოპულარული საგუნდო დიდი როლი ითამაშა. 1874 წლის 12 აპრილი ისტორიული თარიღად ქართული საგუნდო კულტურის განვითარების ისტორიაში. ამ დღეს ქართველ ხალხს დიდი ხნის ნატარა აუსრულდა — ქართული მუსიკის კონცერტმა ნათლად გამოამყვანა ერთიანი ხალხური სიმღერების მაღალმატარული დონე და გააბათილა ევროპულდებათ „მადლია წრის“ წარმომადგენლების მერე ვაგერცდებული მცდარი აზრი, თითქმის ქართული მუსიკა, რომელიც ტლანკი და მხატვრულ ღირსებებს მოკლებული, ვერ შეძლებდა ფართო საზოგადოების განვითარების გემოვნების დაქაყოფილებას.

მართალია, ხარაღამი სავანელის გუნდმა, უსახსრობის გამო, დიდხანს ვერ იარსება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან საბოლოოდ განამტკიცა აზრი, რომ ასეთი წარმოდგენა დიდი კულტურული საქმეა და აუცილებელია მისი მტკიცე ნიადაგზე დაყვანა. ამგვარად ქართული გუნდის არსებობა ხალხის მოთხოვნულად გადაიქცა და ხარაღამი სავანელსაც თავისი მიმდევრები გაუჩნდა, რომელთაც ქართული მუსიკის დიდი მასშტაბი გაუწიეს.

უწინარეს ყოვლისა, მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მშობლიური კულტურის ირვითი ენთუზიატი, ქართული ხალხური სიმღერის დიდი მოამაგე ლალო აღინაშნული, რომელმაც 1885 წელს პირადი ინიციატივით თავი მოუყარა საუცუეთსო ხალხურ მომღერლებს და ჩამოაყალიბა „ქართული ხორი“ წოდებული გუნდი, ამით მან გზა გაუკაფა ქართული საგუნდო კულტურის აღორძინებას და მის შემდგომ განვითარებას. ამ სასტიკად დიდო საქმეს დიდად შეუწყვეს ხელი ლალო აღინაშნულის თანამედროვე მოღვაწეებმა — პირველმა ქართველმა პროფესორულმა მუსიკოსებმა ფილიპე ქორიძემ, მელიქონე ბალანჩივაძემ, ა. კარგარეთელმა, ანდრია ბუნაშვილმა, ივანე სარაჯიშვილმა, ზაქარია ჩხიკავაძემ და ჩემბა მომღერალმა, იტალიური საოპერო დასის მასხალოზმა ოსტე რატიომ. უკანასკნელი იყო ლალო აღინაშნულის მიერ დაარსებული გუნდის პირველი ლტობარი, რომელმაც მსუფთავე მონაწილეობა მიიღო ქართული საგუნდო ხელოვნების განმტკიცების საქმეში.

ლალო აღინაშნულის გუნდმა პირველი კონცერტი 1886 წლის 15 ნოემბერს (ძვ. სტ.) მოაწყო. ქართულმა კონცერტმა მსმენელებზე დრმა შთაბეჭდილება მოახდინა და ფართო მასშტაბის და მოწინავე ინტელიგენციის მხრით დიდი მოწონება დაიმსახურა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ქართული პოეზიის კორიფეს დიდი ილიას მიერ გახუთ „ივრიაში“ გამოქვეყნებული ორი მოწინავე წერილი აღინაშნულის კორპორული კონცერტის შესახებ, ქართული კონცერტის ილია ქვაბი-დიდიხით ისინიებს და დიდ მომავალს უქადას; ამასთან ირვითა ალბათი არაკვეს ქართული ხალხური საგუნდო შემოქმედების მდიდარ ბუნებას, მაღალ ტექნიკას და დრმა ენთუზიზმს, რაც მისივე წინასწარმეტყველური გამოთქმით, ქართული ეროვნული პროფესიული მუსიკის შექმნისა და განვითარების დიდ შესაძლებლობას იძლევა.

ყოველივე ამან სათანადო ნაყენი გამოიღო: ქართული საზოგადოების ერთსულდებანა გამოამტკიცა, განსაკუთრებით, ილია ქვაბი-დიდის გამოხატულებამ, მის მიერ გუნდის პროგრამის მაღალმა შესაფასებლად გააბნევა როგორც ლ. აღინაშნული, ის ქართული გუნდის მეტად, მათ ირვადვე შემოქმედული ახალგაზრდა მუსიკოს-მოღვაწეწი, რომელიც უფრო გაცხივებულ ენერჯით გაინარგებს შემოაბა...

ქართული ხალხური მუსიკის ენთუზიატიზმა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა, მაგრამ იმ დროს მათი საქმიანობა კერძო ხასიათს ატარებდა და პირად ინიციატივაზე იყო დამოკიდებული, რადგან სახელმწიფო არ იყო დაინტერესებული ამ საქმით. მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში შეიქმნა ქართული საგუნდო კულტურის მშველერი აღმავლობის აუცილებელი პირობები მაგრამ ეს საკითხი ცალკე წერილის სავანს წარმოადგენს.

# მხატვრული კალკების ალფრედის კირა

## ივანე სხირტლაძე

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე

საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების მუშაკების ალბრედის ისეთი მძლავრი კერა გააჩნია, როგორცაა თბილისის სამხატვრო აკადემია.

აკადემიის ყოფილი დირექტორად 40—50 მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა საკუთარილი ამთავრებს. მიმდინარე სასწავლო წელს აკადემია 39-მა ფერმწერმა, მოქანდაკემ, მხატვრულ-კერამიკოსმა და არქიტექტორმა დაამთავრა. ბევრმა მათგანმა სადიპლომო ნამუშევარი ფრიალზე დაიკვა. ყველა კურსდამთავრებული კულტურის სამინისტრომ სამუშაოდ გაგზავნა კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებებში. საპროექტო ორგანიზაციებსა და ფაბრიკ-ქარხნებში, სადაც ისინი წარმატებით იყენებენ აკადემიაში მიღებულ ცოდნას.

სამხატვრო აკადემიის ხელმძღვანელობა ხშირად ღებულობს წერილებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონებიდან. ამ წერილებში შემოქმედებითი კოლექტივებისა და წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები მაღალ შეფასებას აძლევენ აკადემიაში ალბრედის მხატვრებსა და არქიტექტორებს.

სამხატვრო აკადემიაში ალბრედებმა უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით ახალხეს თავი უმაღლეს სამხატვრო სასწავლებლების სტუდენტთა ნამუშევრების საკავშირო გამოფენებზე. მაგ. 1949 წელს კომპოზიტორს XI ყრილობის აღსანიშნავად მოსკოვში მოეწყო სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა, რომელშიც სამშოთა კავშირის ყველა უმაღლესი სამხატვრო სასწავლებელი მონაწილეობდა. მათ შორის თბილისის სამხატვრო აკადემია. საუკეთესო ნამუშევრებს პრემიები მიენიჭა. თხები პირველი პრემიებთან ორი პირველი პრემია თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა მიიღეს. თბილისელებსე ზედათ ამ გამოფენაზე ერთი მეორე და ერთი მესამე პრემია.

უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლების 1953 წელს კურსდამთავრებულთა სადიპლომო ნამუშევრების გამოფენაზე მოსკოვში თბილისის სამხატვრო აკადემიიდან ჩამდინებ საუკეთესო ნამუშევარი იქნა გაგზავნილი. გამოფენაზე მიღებული ხუთი ნაწარმოებიდან სამი ამაგამა „მოძრაიე გამოფენის“ ექსპონატებს შორისაა — კ. მახარაძის „სუფრაიე და ვაჭარაიონი ალაგებში“, რ. ტუციანიძის „დასვენება“ და ნ. ცაგარელის — დეკორაივის ესკიზები ბალეტ „ღონე-კობახიასთვის“, ხოლო ვ. თოთბაიას „ახალ სამკობრის მიწაზე“ და ზახუტაშვილის „მხეცოვანი ქართული მხატვრები“ გამოფენაში ამირეკაკაისის მხატვართა ნაწარმოებების გამოფენაზე მოსკოვში.

ეს იმას მოწმობს, რომ აქ კარგადაა დაყენებული სასწავლო-ალბრედობითი და შემოქმედებითი მუშაობა, რომ ამ უმაღლეს სამხატვრო სასწავლებლიდან გამოდინან პროფესორული კოდის დაუფლებულნი, მოწინავე მსოფლმხედველობით აღუზრელი სპეციალისტები.

გასულ წელთან შედარებით, მიმდინარე სასწავლო წელს სამხატვრო აკადემიამ საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა. გაიწვია მოთხოვნა სტუდენტთა აკადემიური წარმატების შეფასების საკითხში. ამაღლდა საკლდე-სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური მუშაობის ხარისხი. გაძლიერდა პოლიტმხედველობითი მუშაობა როგორც პროფესორ-მასწავლებელთა, ისე სტუდენტთა შორის. მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. რომლებიც ხელს უშლის აკადემიის როგორც სასწავლო პროცესს, ისე სამეცნიერო-საკლდევი მუშაობას.

ჩვენი ქვეყნის კანონიზირ და კულტურულ წინსვლასთან

ერთად, ლიერდება საშოთა ადამიანების სწრაფეა მეცნიერებისა და კულტურის მწვერვალების დაუფლებასკენ, ფართოვდება ინტერესების სფერო, მიმდინარეობს ბრძოლა კოდის, ისტატოსის ვადრმაგებისათვის.

სამხატვრო აკადემიაში შესვლის მსურველთა რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება. საქართველოს რომელი უთხობიდან არ მიიღიან აქ ახალგაზრდები! ის იმას მოწმობს, რომ ღიდა ახალგაზრდობის სიყვარული სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგებისადმი, მაგრამ აკადემიაში მიღებული მხატვრული მომზადება ზოგჯერ არ ღვას ის სიმაღლეზე, რომელიც უმაღლესი სამხატვრო სასწავლებელში შესწავლის უნდა გაჩნდეს. მიიღიან რა პირდაპირი საშუალო სკოლებიდან. ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდას არ აქვს ელემენტარული კოდნა სახვითი ხელოვნების დისციპლინებში, არ აქვს პრაქტიკული გამოცდილება, რის გამოც ისინი პირველსავე გამოცდებზე იჭრებიან. ეს, უწინარეს ყოვლისა, იმაზე ლაპარაკობს, რომ რესპუბლიკაში სათანადო სიმაღლეზე არ ღვას დაწესებუთი სამხატვრო განათლება. საქართველოში მხოლოდ ორი სამხატვრო სასწავლებელია: თბილისისა და სტალინისა. აფხაზეთის და აჭარის ცენტრებში, აგრეთვე საქართველოს სარაიონო ქალაქებში არა თუ სამხატვრო სასწავლებელი, ან ტექნიკური, სტუდენტუც კი არ არსებობს, ამიტომაც, რომ აკადემიაში მიღებულ სტუდენტთა ნაწილს პროგრამის გავლა უძნელდება.

ამ სიძნელის გადალახვის მხოლოდ იმ პირობით შეგებლბთ, თუ გაეხსნით სამხატვრო სასწავლებლებს და სასწავლებლებს რესპუბლიკის მსხვილ სასწავლო ცენტრებში: სოხუმსა, ბათუმსა, ქუთაისსა, კორსა, ფოთსა და სხვ. ქალაქებში. სასურველია, აგრეთვე, თბილისში გაიხსნას ოთწლიანი სამხატვრო სკოლა, სადაც პირველდაწყებითი განალობის მიიღებენ მხატვრული ნიჭით დაჯილდოვებულნი ბავშვები. საქართველოს კულტურის სამინისტრომ ეს საკითხი უკვე დააყენა ზემდგომი ორგანოების წინაშე.

აკადემიაში მისაღები კონტინენტის უფრო მომზადების ხელს უშლის ის ვარემოება, რომ სახვითი ხელოვნების დისციპლინების სწავლება ჩვენ სკოლებში არ ღვას ჯეროვანი სიმაღლეზე. უმარავლეს შემთხვევაში ზატვას ასწავლიან არასპეციალისტები, რომლებიც ძალიან შორს ღვანან ამ საქმისაგან. უმაღლესი სამხატვრო განალობის მიღებისათვის საშუალო ცოდნის მხატვართა მომზადების დიდი მნიშვნელობა აქვს. მართალია, მიმდინარე წელს საქართველოს კულტურის სამინისტრომ საშუალო სკოლებში ზატვა-ზატვის მასწავლებლად ღვაზუნა ორდენისი სპეციალისტი, რომლებიც თბილისის სამხატვრო აკადემია და სამხატვრო ტექნიკური დამთავრებს, მაგრამ ეს სრულებით არ არის საკმარისი იმისათვის, რომ საშუალო სკოლებში ბავშვთა მხატვრული ალბრედის საქმე სთანადო სიმაღლეზე დაეყენებოთ.

მხატვართა კადრების აღზრდის საქმე რომ გაუმჯობესდეს, საჭიროა ამოიზივებინას ნაკლოვანებები თვით აკადემიის მუშაობაში. სადუშელთან გადამუშავება და შესვბის მოთხოვნის აკადემიის სასწავლო გეგმები და პროგრამები, რადგან მათი ნაწილი შედგენილია და მამტიკებულია 4—5 წლის წინათ. იმის გამო, რომ აკადემიის დღემდე არ გაჩნია სათანადო სახსრები, ჯერ კიდევ არ არის წესრიგში მოყვანილი მეთოდური ფონდი, რომელიც წარმოადგენს სტუდენტთა, ასინარბად და პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო გამოცდილების გამოზადებას.

ჯერ კიდევ ხშირია სტუდენტთა მიერ დისციპლინის დარღვევა და ლეკციების გაცენა. სათანადოდ დაყენებული არ არის კომპო-

ზოგის სწავლება. დაბალ დონეზე დგას კათედრებზე სასწავლო-მეთოდური საკითხების დამუშავება კომპოზიციაში, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სტუდენტთა საბაზო დონის ნამუშევრების ხარისხზე. მიუხედავად რაც სასწავლო და ზოგადი განათლების დისციპლინებში აკადემიის არ აქვს სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა; მიუხედავად ამისა, აკადემიის წამყვანი მეცნიერულ ძალები მიზილიზებული არ არიან ამ პრობლემის გადასაწყვეტად. ქანდაკების და კერამიკის კათედრების გარდა საკლდე-სამეცნიერო მუშაობა აკადემიაში სწორად არ არის დაგეგმილი. სამეცნიერო თემატიკა ძირითადად წარმართული არ არის იქითკენ, რომ შექმნას სახელმძღვანელოები და დამხმარე სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა, უამისოდ კი შექმნილია სასწავლო-მეთოდური მუშაობის გამოცდილების განვითარება და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზადება. სამეცნიერო თემატიკა არც სამხატვრო სასწავლებლებისათვის ითვალისწინებს სასწავლო-მეთოდური ხასიათის ლიტერატურის შექმნას.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ასპირანტების მოზადების საქმე. უკანასკნელ დრომდე ასპირანტურაში დებულობდნენ ისეთ პირებსაც, რომელთაც სათანადო მოზადება და მინაცემები არ გააჩნდათ და რომლებიც გაირიცხნენ ასპირანტურის დამთავრებამდე.

ზნორია ასპირანტებისათვის თემებისა და ხელმძღვანელის შეცვლის შემთხვევები. მოუწესრიგებელია ასპირანტთა მეცადინეობა ცნობის მიხედვით. მათთან პროფესორ-მასწავლებელთა შესხვედრა შემთხვევით ხასიათს ატარებს. ის ფაქტი, რომ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში დისტრეკციის დავით არც ერთ კაცს არ დაუმთავრებია ასპირანტურა, მოწმობს იმას, რომ აკადემიის ხელმძღვანელობა და პროფესორ-მასწავლებლები მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან ახალგაზრდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზადებას.

სერიოზული ნაკლოვანებები აქვს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეების მუშაობას. 1952 წლიდან დღემდე სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებამ მხოლოდ ერთი სამეცნიერო კონფერენცია მოაწყო.

გაუმჯობესებას მოითხოვს პოლიტ-აღმშრდელლობით მუშაობა აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის. აკადემიის დირექცია, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ საკმაოდ არ მუშაობენ სტუდენტთა შორის სასწავლო დისციპლინის განმტკიცებისათვის; მათ უფრო მეტად უნდა იზრდონ სამეცნიერო-საკლდეო მუშაობაში და სასწავლო პროცესში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. სამხატვრო აკადემიაში სწავლის ნორმალურ მსვლელობას საგრძობლად უშლის ხელს ის ვარგებობა, რომ აკადემია საკმაოდ არ მზადდება ისეთი სასწავლო მასალით, როგორცაა საუბრები, ქაღალდი, ტილო, თამაშური და სხვ. ამ საკითხში აკადემიას მეტი დახმარება უნდა აღმოუჩინოს კულტურის სამინისტროს მიმარაგების განყოფილებამ.

სასწავლო-სამეცნიერო მუშაობაში ერთ-ერთი ხელისშემშლელი ვარგებობა აკადემიის შემოსის სიფიროვება. აკადემია სამუშაო და სამეცადინო ოთახების ფართობის დიდ ნაკლებობას განიცდის. ამის გამო მთელი რიგი საჭირო ღონისძიებანი ვერ ხორციელდება.

სამხატვრო აკადემიის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი შედეგების მოპოვება შეუძლია, რადგან მისი პედაგოგიური პერსონალი მაღალკვალიფიციური მეცნიერული კადრებით არის დაკომპლექტებული. საჭიროა უფრო მეტი ინტენსიური, გაღრმავებული და სისტემატური მუშაობა იმ ხარვეზების შესახებაც, რომლებიც ასე მტკივნეულია დღეს აკადემიისათვის.

აკადემიამ ყურადღება უნდა გამახვილოს ახალგაზრდა სამეცნიერო ძალების აღზრდაზე. სპეციალურ დისკოლინებში მომუშავე მეცნიერ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამგვარად ამ მეტად სერიოზულ უბანს აკადემიაში ჯეროვანი ყურადღება ამ ეტევა. მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზადება სახეით ხელოვნების ყველა დარგში ერთ-ერთი დიდად მნიშვნელოვანი საქმეა.

სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს მხატვართა კადრების გაყოფენების საკითხს. მხატვრებს, რომლებმაც უმაღლესი შეფასებით დაამთავრეს სახატვრო აკადემია, მხატვართა კავშირმა მუშაობის სათანადო პირობები უნდა შეუქმნას, პირველ რიგში, უზრუნველყოს სახელოსნოებით ის ახალგაზრდები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ნიუთა და შრომის დიდი უნარი.



თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტების მეცადინეობა სახელოსნოში.



რევისორი სერგო კველიძე. ნახატი შ. ცხადაძისა

# სოხუმის თეატრის ბასტროლები

შალვა ბუაჩიძე



სოხუმის თეატრის იდუარ-შემოქმედებით ზრდის ახალი დამატურება იყო მისი გასტროლები თბილისში 1954 წლის ივლისში. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ეს თეატრი მესამედ ჩამოვიდა რესპუბლიკის დედაქალაქში. გასტროლებმა გვიჩვენეს, რომ სოხუმის თეატრის კოლექტივი მრავალ ნიჭიერ აქტიორს აერთიანებს. თეატრის საპირო ენერგიასა და მონადიმებს იჩენს იდუარ-მხატვრულად გამართული თანამედროვე რეპერტუარის შესაქმნელად. დასაფასებელია მისი მისწრაფება დამოუკიდებელი მუშაობისაკენ ისეთ პიესებზე, რომლებიც ჯერ აპრობირებული არ არიან დედაქალაქის სცენაზე.

მრავალი წლის მანძილზე სოხუმის თეატრს ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე სერგო კველიძე. მისი ზრუნვის შედეგად კოლექტივში გაჩნტიკა და რუსული მოწინავე თეატრალური ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებზე დამყარებული შემოქმედებითი დისციპლინა. მ. გორკის, ა. ოსტროვსკის პიესები, საბჭოთა დრამატურგების საუკეთესო ნაწარმოებები შეადგენენ თეატრის რეპერტუარის საფუძველს.

გასტროლების პერიოდში სოხუმის თეატრმა გვიჩვენა რვა საექსტალო: მ. გრეგორიშვილის „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, ს. კლავდიუსის „დღესასწაული საერულადი“, კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“, გ. მიწის „გვარს ნუ დავასაბუღებთ“, პუს. მუხთაროვის „აღანის ოჯახი“, ნაზიმ ჰიქმეთის „ლეგენდა

სიყვარულზე“, ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“ დოქტორის და დენერის „ღონ სეზარ დე-ზანი“.

თბილისელი მაცურებელი ინტერესით შეხვდა სოხუმის თეატრის სპექტაკლებს. მცენერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებმა, პედაგოგებმა, სტუდენტებმა, თბილისის საწარმოების მუშებმა, რომლებიც დაესწრნენ თეატრის დადგმებს, დაღვივდად შეაფასეს ისინი, განსაკუთრებულ წარმატებაზე და „ლეგენდას სიყვარულზე“ (დადგმა ს. კელიძისა). სპექტაკლის ღირსება ის არის, რომ რევისორი ღრმად ჩასწვდა ავტორის შთანთქმის, ამ პოეტური პიესის სახეთა ორიგინალურ აღნაგობას, რის შედეგადაც მიუძღვა სპექტაკლმა ერთიანი, მწყობრივ კლერადობა მიიღო. შეიქმნა მტიკიე ანსამბლი, წარმოდგენის ცალკე ნაწილებს შორის დაეყარა პარმონია. პიესა და წარმოდგენა თუმცა ზღაპრულ ამბავს გადმოგვცემენ, მაგრამ ნაწარმოების ფილოსოფიური აზრი მხატვრულად იმდენად ხელშესახებად არის ჩამოქონილი სპექტაკლში, რომ მაცურებელი ბოლომდე დაძაბული ინტერესით ადევნებს მას თვალყურს. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით სპექტაკლის მთავარი როლების შემსრულებლებს ი. დონაურს, ს. ყანაელს, ზ. ლუფრაქსს, ი. კალანდაძეს, ს. გამრეკელს, ნ. მიქაშვიტს, გ. რვეაზიშვილს, ფ. შედანიას.

ლევინდარული არზნის დელოფის მემკმენ ბანუს როლი: მდღეარმა სპიტრატურულმა მასალად, ამავე დროს ამ როლის შემსრულებლის ირინე დონაურის ნიჭმა და ხელოვნებამ უაღრესად საინტერესო გახადეს მემკმენს ზედი ჩვენი მაცურებულისთვის. ჩვენს წინაშე თითქმის ერთ მთლიან ხასიათში იხსნება სისასტიკისა და ქალური სინაზის, ეგოისტური პატივმოყვარეობისა და გმირული თავდადების, სიძულვილისა და უანგარო სიყვარულის რთული კვანძი.

მსახიობი თამაშობს უზარალოდ, არასად არ მიმართავს ყოფიის გარკვეულ დახასიათებას; იგი მოხერხებულად ხაზს უსვამს თავისი გმირის ხასიათის არა მარტო ზნელ მხარეებს, არამედ იმ ნათელ ნიშნებსაც, რომლებიც ჩამარხულია მის მგზნებარე გულში და რომლებმაც იგი ეოსდებ უწყველო გმირობამდე მივიყვანეს. მემკმენ ბანუს სულეერი მოძრაობის კონტრასტები, ერთი ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა ისტატურად არის გადმოცემული ი. დონაურის მიერ.

თქმა იმისა, რომ მსახიობი სალომე ყანაელი გატაცებით თამაშობს შირინის როლს და გვიხატავს ამ პოეტური ქმნილების შთაგონებულ პორტრეტს, საცარიისი არაა იმ ნათელი შთაბეჭდილების გადმოსაცემად, რასაც ამ ნიჭიერი მსახიობის შესრულება იწვევს.

ს. ყანაელი თანამედროვე ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი უაღრესად თავისებური და ფრიად საყურადღებო ძალაა. ძირითადად მისი შემოქმედება ლირიკული ხასიათისაა. ს. ყანაელის გულწრფელად გადმოგვცემა თავისი გმირების გრძნობათა მიწოდების, დიდი მამოხლეკობა და საუბოთა გრძნობა ჩაკსოვილი შირინის სახეშიც. ს. ყანაელი შირინის როლში თავიდანვე მატარებელია დიდი ცხოველმყოფელი ძალისა. ამ მშვენიერი ასულის უძირო სიყვარულს შეუძლია მითების დამტარა, და ვი დევგმირად აქცია კიდეც ამ სპექტაკლ ტრფალმა ჭეჭბუკი ფერხად, რომელიც შირინის მისაბოვებლად რკინის მთასაც კი არ შეუშინდა და ასფეთიანი ურთიო აულმკერდს უწერებს მას.

ფერხადთან შეხედრის სცენებში შირინი-ყანაელი აღსაკეცა მზურაფელ სწავარული საოცრობა ზედნაირობისაკენ, გამთბარია განუზომელი სინაზის სუბტი. შირინი-ყანაელი ჩვენს თვალწინ იზრდება. იგი ჯერ მგზნებარე და დაუდგრომელია, ხოლო წინა კამ ნაზ ყვავილას მისვლენა ცხოვრების სუსხი უფრო თამშკავებელი და მომომენი ხდება. მაგრამ მას მინებ სწამს, რომ სიყვარული გაიმართვება. ამ იმედით შორდება იგი ხელმეორედ ფერხადს, რათა ეღოსოს, შეძობლება დაუსრულდება, მის დაბრუნებას. შირინი-ყანაელი უეტარად მოიპოვა ძალა და მხტკიკე, თუმცა იგი ისეთივე ნაზ, მიმოხედვლად მგზნებობარე ასულად დარჩა, როგორც სპექტაკლის დასაწყისში იყო.

ქუმარიტი ხელოვნების ზეგავლენის ძალა წუთებით არ განიზომება. თვალსაჩინო მხატვრული სახეები დიდხანს რჩებიან მკითხველისა თუ მაცურებლის მენსიერებაში. დაეშვება ფარდა, მაცურებელი დასტოვებს თეატრის დარბაზს, მაგრამ შირინის სახე ასეთის გულწრფელობით გამოძერწილი სალომე ყანჩელის მიერ, მას თან გაჰყვება...


დიდებული პუშკინი აყენებდა კითხვას და თითონვე უპასუხებდა: „რა ვითარდება ტრაგედიაში? რა არის მისი მიზანი? ადამიანი და ხალხი. ადამიანის ბედი, ხალხის ბედით“. დიდი პოეტის ეს უცდავი სიტყვები გამოდგება გასაღებად ფერხადის სახის განსისათვის. ფერხადი ნამწვილად ტრაგიკული ფიგურაა. თავისი ბედი მან ხალხის ბედს დაუკავშირა. მან უარი სთქვა პირად ბედნიერებაზე. შირინთან დაბრუნებაზე, რადგან მისი მშობლიური ხალხი უბედურებას განიცდის, უწყლობით იღუპება და გადაწყვიტა მოუპოვოს ხალხს ეს მაცოცხლებელი ძალა. მისი მიზანია ზ. ლავრეაძემ ძირითადად შესწლო მის წინაშე მდგარი სიმწვლეების გაღალატება. ის თამაშობს მგზნებარედ, გულწრფელად, გატაცებით. მან ადამიანური სითხოვით და მიმზიდველობით შეაგყო ფერხადის სახე. უფრო ნაკლებია მის გმირში პოეტური აღმავრენა. როგორც შირინის სატრფოს, მას აკლია ლირიულობა და სიბოთ.

ხალხსადმი სიყვარულით შთაგონებული ნაწიმ ჰქმნის პიესა „ლევენდა სიყვარულზე“ სწორად წაკითხა სოხუმის თეატრმა. სპექტაკლი გამსჭვალულია ღრმა რწმუნით იმ ადამიანების გამარჯვებისადმი, რომლებიც არ ზოგავენ თავის სიცოცხლეს ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

სოხუმის თეატრის სპექტაკლი „უდანამაშოლო დამნაშავენი“ მოწმობს, თუ რა სიყვარულით მუშაობს ეს კოლექტივი რუსული კლასიკური დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშთა სცენურ ხორც-შესხმაზე. ცნობილია, რომ ა. ოსტროვსკის „უდანამაშოლო დამნაშავენი“ მეტად მკაფიოდაა ნაჩვენები სულით მდებალი ადამიანები,



მსახიობი სალომე ყანჩელი მედვას როლში (ს. კლდიაშვილის — „დღესასწაული საკრეულში“)



მსახიობი თათარ კობერიძე თენგიზ სინაურაძის როლში (ე. ბუაჩიძის — „ჰეკატეი ქალიშვილები“)

მათი სისაბაგლე დრამატურგი დაუზოგავად ამხილებს მისი თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების სიმახინჯეს. სწორედ ამაში დიანახა რეჟისორმა ს. ქეღელიმ ოსტროვსკის პიესის თავისებურება და ამაზე ააგო მწვევე და ცოცხალი მოქმედება.

ამ სპექტაკლის მნიშვნელოვანი ღრისება ის არის, რომ შემსრულებლები ღრმად ჩაწვდნენ თავიანთი გმირების შინაგან სამყაროს. უბრალოდ და ნათლად აქვს მოხაზული კერძინისას სახე ი. დონაურს. მის თამაშში მკაფიოდ ღვრის დღდის ინსტანქტი, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდება.

კორინციანს სახე სატირული საღებავებით აქვს შეფერადებული ს. ყანჩელს. ამან კიდევ უფრო რელიეფური გახადა კორინციანს ფუქსავატური, შურიანი ხასიათი, მისი სულმადლობა.

მოსაწონი გულწრფელობით გვისურათებს ნუნაშვილს ახალგაზრდა მსახიობი გ. რევაზიშვილი. ყურადღებას იპყრობენ დაკვირვებელი თამაშით ს. გამრკელი (მუროვი), ა. მაგრაქელიძე (დუდუკინი), მ. გაგნიძე (შმაგა), თ. კობერიძე (მილოვზოროვი), თ. ოქროპირიძე (გალჩიხა).

ჩვენს წარსულში, ქართული კულტურის ისტორიაში არის სახელები, რომელთა მსწვრვაც კი სიამაყის გრძობით ავსება ჩვენს გულს. ასეთია ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელიც. ამიტომ გასაკებია ის ცხოველი ინტერესი, რომლითაც თბილისელი მაცურებელი შეხვდა დიდი პოეტის სახის სცენურად გაცოცხლების რთულ ამოცანას, რაც სოხუმის თეატრმა იყისრა.

ისეთი სპექტაკლის წარმატება, როგორც „ბარათაშვილი“, ბევრად არის დამოკიდებული მთავარი როლის შემსრულებლის წარმატებაზე. ეს ხომ არსებითად ერთი გმირის ნაწარმოებია; აქ ყველაფერი ცენტრალური სახის გახსნას ემორჩილება, ყველაფერი ამ სახეს ემსახურება.

დიდ პოეტს წარმოგვიჩინებს მსახიობი ზ. ლავრეაძე. მაცურებლის პირველი შეხვედრა მასთან ერთობლივ იტვიო ხასიათდება. ბარათაშვილის სკოლის ამხანაგის, მისი დაახლოებული



ირინე დონაური მეპყენე ბანუს როლში (ნაზიმ ჰიქმეთის —  
„ლევენა სიყვარულზე“)

მეგობრის, შემდეგში ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყუდიანის მოგონებიდან ჩვენ ვიცით, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო პატარა, ტანდაბალი ახალგაზრდა, სქუნაზე კი ვევა ვაყაყი გამოჩნდა. შემდეგში, როცა მსახიობი თანდათან ააშკარაებს ბარათაშვილის ხასიათის ნიშნებს — მის მგზნებარე ტემპერამენტს, ლირიზმს, სევდას, შინაგან დაძაბულობას, მწვევე ენამაზებობას, მყურებელი უკვე ნდობით იმსჯელება აქტიორისადმი.

ზ. ლავრაძე გზებით, ემოციურად ატარებს მრავალ სცენას, მისი ბარათაშვილი გამოირჩევა გულწრფელობით, ხასიათის სიმტკიცით, უბრალოებით. მაგრამ მასში ნაკლებად იგრძნობა ნაზიმ ჰიქმეთის ბუნება, სულის რომანტიკული აღმზფერვა.

მსახიობი თავის მუშაობას ამ როლზე დასრულებულად ნუ ჩასთვლის. შემდგომი ზრუნვა შექმნილი სახის საბოლოო ჩამოყალიბებისათვის კიდევ ბევრ შემოქმედებითს სინარულს მოუტანს მასაც და მაყურებელსაც.

ს. ყანჩელმა ეკატერინე ჭაჭავაძის როლი იგრძნო თავისი ნიჭის შესაბამისი ნიშნები და ღრმა ლირიკული მღვდლარებით ააგო ეს სახე.

სოხუმის თეატრში მუშაობს ახალგაზრდა რეჟისორი გურამ პატარია. მის მიერ საინტერესოდ დადგმულ სპექტაკლში „დონ სეზარ დე-ბაზანი“ მიმზიდველად გამოჩნდა ორი ახალგაზრდა მსახიობი — თ. კობერიძე და ვ. ნეფარიძე. კობერიძე დონ სეზარის როლს ასრულებს. მას სასიამოვნო სცენური გარეგნობა და კარგი შემოქმედებითი მონაცემები აქვს. მსახიობს ჩინებულად უპირატესი თავი, თამაშობს თავისუფლად, ძალდატანებლად, მისი რბილი ტემპრის ხმა კიდევ უფრო ხაზს უსვამს აქტიორის მიმზიდველობას.

ვ. ნეფარიძეს დიდი შემოქმედებითი ენერჯია შეაქვს ტურის მოცეკვე ქალის მარიტანას როლში, რათა წარმოგვიდგინოს თავისი გმირი გულუბრყვილო, ჰაეროვან, გრაციოზულ არსებად. მსახიობს ჰყოფნის გამომსახველობითი საშუალებანი სიმართლით გადმოგვეცეს თავისი გმირის განწყობილება.

სოხუმის თეატრი მონდომებით მუშაობს მომხმე სახლთა დრამატურგიის ნიშნულა სცენურად განხორციელებაზე. მოსაწონია, რომ მის რეპერტუარში მკვიდრი ადგილი მოიპოვა თურქმენი ავტორის ჰუსეინ მუხთაროვის პისამ „ალანის ოჯახი“. სპექტაკლი კარგად არის შეკრული და გამოირჩევა აქტიორული ანსამბლით: ვ. ნინიძე (ალანი), ა. მაგარაქველიძე (ბაიბაჩი), ს. გამრიკელი (ათა), ა. ჯანაშვილი (ბიკე), ნ. ყუდიანი (იბრაჰიმი), გ. რევაზიშვილი (ყურბანი), ი. კალანდანი (ალთი), თ. ბოლქვაძე (ზინაიდა).

კარგი რეჟისორული გამოგონებლობით არის დადგმული სპექტაკლები „დღესასწაული საკრეულოში“ (რეჟისორი ლ. გუდია) და „მეცარი ქალიშვილი“ (ს. ქუციანი). ამ სპექტაკლებში თავი იჩინა მსახიობების ტ. ხორავა და გ. ფოჩხუას კომედიურმა ნიშმა.

სოხუმის თეატრის საგასტროლო რეპერტუარში ყველაზე სუსტი აღმოჩნდა სპექტაკლი „გვარს ნუ დავასახლებთ“. მკვეთრი, გაბედული სატრული ფერებით დაწერილმა პისამ ვერ ჰპოვა სოხუმის თეატრში ღირსეული განსახიერება. თეატრმა ვერ მოუტანა ზუსტი დახასიათება იმ ადამიანებს, რომელთაც სურთ საბჭოთა სინამდვილის პირობებში ძველებურად იცხოვრონ.

პისის სამი მთავარი სატრული პერსონაჟიდან სპექტაკლში რეჟისორის გამოვიდა მხოლოდ ერთი — პოგმა (ს. ყანჩელი). დარკარვა დინა მხაილოვანა (ი. დონაური) და კარპო კარპოვიჩი (ნ. მიქაშვილი). ჩვენ აღარავფერს ვამოხებთ პისის დადებითი გმირების შესახებ. მათ წარმოსახვითი თეატრი ვერ გასცოლდა სტეპანოვს.

სპექტაკლში არის, რასაკვირველია, ცალკეული მოხდენილი ადგილები. მაგრამ უფრო მეტი დაკარგულია. არ არის ანსამბლი, საჭირო შემოქმედებითი კონტაქტი რეჟისორსა და აქტიორებს შორის. სცენაზე სწორად და მკაფიოდ წარმოსახულია გ. მიწოს არა მთელი პისა, არამედ მისი ესა თუ ის ეპიზოდები. ამით უნდა აგებნათ მხატვრული არათანაბრობის ის შთაბეჭდილება, რომელიც თან მიტყვება მაყურებელს თეატრიდან გასვლისას.

სოხუმელთა საგასტროლო სპექტაკლებს სერიოზული ტექნიკური ნაკლი ახასიათებს. ზოგიერთი წარმოდგენა დღენდ მივიღდა, გრძელი იყო ანტრაქტები. სპექტაკლში „ლევენა სიყვარულზე“ ორკესტრი იმდენად ხმაურობდა, რომ ზოგჯერ სიტყვები ვერ აღწევდა მაყურებელს.

მიუხედავად ცალკეული ნაკლისა, სოხუმის თეატრის გასტროლებმა პროფესიულ დონეზე ჩაიარა. თბილისელი მაყურებელი ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ სოხუმის ქართულ სახელმწიფო თეატრში ნიჭიერი, მრავალფეროვანი, ძლიერი აქტიორები და საინტერესო რეჟისორები მუშაობენ. თეატრს არ ესტაბროება შედეგადი მისი „პერიფერელობის“ გამო. სოხუმელთა ნაშუქმე ვარი შეიძლება შეეფასოსთ თეატრალური ხელოვნების კანონების მთელი სიმაკვრით.





ა. კ. ჩხოვი

# ა. კ. ჩხოვი ქართულ სენაზი

მაღალი ჩხვი



ერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოში დღი ბოლშევიზმით სარგებლობდა ა. კ. ჩხოვის შემოქმედება.

